<u>დანართი №7</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16-საათიან - 8 საათი სააუდიტორიო, 8 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 20-საათიან - 10 საათი სააუდიტორიო, 10 საათი საკონსულტაციო დატვირთვას; ასისტენტ- პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 24-საათიან - 12 საათი სააუდიტორიო,12 საათი საკონსულტაციო დატვირთვას, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან <u>(ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა. ამასთან, გამონაკლისის წესით, უნივერსიტეტსა და სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის ფარგლებში ან/და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი)</u> და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 2300 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1850 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1360 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1300 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1050 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 810 ლარი.